ფასი ერთი შაური. შაბათი, I იანვარი. № 1

შინაური საქმეები. 1911

ყოველ-კვირეული ჯაზეთი.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

10, 12-
25-
37-

21 დეკემბერს, გარდაიცვალა დ. ყვირილაში მცხოვანი დამსახურებული დეკანოზი, რედაქტორი ქართულ-ეურნალ-მწყემსისა“ და რუსულ „პასტირისა“— **დავით ღამბაშიძე.** განსვენებულმა დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს სამღვდელოებას თვისი გამოცემებით. თუმცა განსვენებული 70 წელს გადაბიჯებული იყო, მაგრამ ჯანსაღი და გულით ახალგაზდა იყო. მაშინ როდესაც, ბევრმა შედარებით ახალგაზდა მღვდელ-დეკანოზებმა დასდვეს ზავი და თავი დაანებეს საზოგადო სარბიელზე მოღვაწეობას, დეკ. ღამბაშიძე მუდამ იბრძოდა და ერთ წუთსაც არ დაუტევებია ბრძოლის ველი. არ ყოფილა არც ერთი სამღვდელოების კრება, რომლის თავმჯდომარე ან მოქმედი წარმომადგენელი არ ყოფილაყოს, არ ყოფილა ისეთი დავალება, რომელიც მას არ მიეღოს და არ ეწარმოებიოს. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მ. დ. ღამბაშიძე ერთად ერთი დაუღალავი, ენერგიით სავსე, დაუზარებელი და მოქმედი სამღვდელო პირთაგანი იყო მთელ საქართველოს სამღვდელოებაში. საუკუნოდამც იყოს მისი ხსენება!

ქუთაისი. 1 იანვარი.

კიდევ ერთმა წელიწადმა ჩაიარა უნაყოფოთ, კიდევ ერთი წელიწადი დაიკარგა უმნიშვნელოთ. ამ წლის განმავლობაში სამღვდელოებას ჩვეულებრივად ეძინა ტკბილი, უშფოთველი საღითას ძილით. მას არაფერი შეუმატნია არც თავისთვის და არც იმ ხალხისთვის, რომელსაც იგი ემსახურება, მას არაფერი გაუკეთებია საღვთისმეტყველო ლიტერატურისათვის, რომელიც ისეთივე ღატაკი და არარის მექონე უნდა დარჩეს მომავალშიდაც, როგორიც დღეს არის. ჩვენ, მოწინავე ქალაქის სამღვდელოებასაც, რომელიც ბეთლემელ ვარსკვლავად უნდა უძღვეს სამშობლო ეკლესიას, არ უღალატნია თავის ერთხელვე არჩეულ გზისათვის: ჭორიკანაობა, ერთმანეთის შური, ჩინ—ორდენებისათვის ღრიტინ-წუწუნი და მუშტი კრივი არ მოუკლია თავთავის დროზე. ასე გვიბოგინია და ასე მივბოგინობთ დღითი დღე, დრო-კი ჩვენ არ გვიცდის, იგი წინ-წინ მიდის და თან მხოლოდ იგინი მიჰყავს ვისაც არ სძინავს. ჩვენ კი უკან ვრჩებით და არა თუ ჩვენ მარტო, სხვებსაც ბევრს ვაბრკოლებთ. ვაბრკოლებთ, როცა მოწოდებული ვართ წინ გაუძღვეთ და გზა უჩვენოთ.—ვაბრკოლებთ, როცა ვიცით, რა სა

სასტიკი სასჯელი მოგველის ამისთვის, როგორც აქ, ისე იქ, სადაც მეფენი და გლახაკნი ერთბაშად წარმოსდგებიან. „რომელმან დაიბრკოლოს ერთი მცირედთა ამათგანი, უნჯობეს არს მისა დამოიკიდოს წისქვილი ვირით საფქველი და დაინთქას ზღვად“.

რას მოგვიტანს მომავალი წელიწადი?... თუ აწმყოთი მომავალი გაისინჯება, დიდ საბუგეშოს არაფერს...—

საჭიროა, თუ არა კაცისათვის რელიგია?

—

III.

რელიგიას უნდა ქონდეს გარეგანი კულტიც. წარსულისა და აწინდელი დროის ზოგიერთი მწერლები იძულებულნი არიან იცნან საჭიროება რელიგიისა, რადგანაც ისინი ვერ პოულობენ საკმარის საფუძველს ღვთის უარყოფისათვის. მაგრამ იმათ უარჰყვეს ყოველივე გარეგანი და საზოგადოებრივი კულტი რელიგიისა, როგორც ჩვეულება უსარგებლო და მავნე; იმათ უნდათ დაიყენონ თავიანთი თავი და მკითხველები ხალხის ცრუ-მორწმუნოების მაღლა; ისინი აღიარებენ მხოლოდ კულტს აზრში და გრძნობაში; იმათ მიაჩნნათ ტაძრად მხოლოდ ბუნება.

თაყვანისცემა ღვთისა გონებითა და გულით უსათუოდ შეადგენს სულს ყოველივე რელიგიისას. უამისოდ გარეგანი კულტი იქნებოდა მხოლოდ ტლანქი პირმოთნეობა; მაგრამ როდესაც ჩვენ ვერიდებით ერთ შეცთომას, უნდა გავფთხილდეთ მეორე შეცთომაში არ ჩავცვივდეთ; არ უნდა უარვყოთ საჭიროება რელიგიის გარეგანი კულტისაც, თუ არ გვინდა წავიდეთ კაცის გონების და საუკუნო გამოცდილების წინააღმდეგ.

გონება ამბობს, რომ კაცი უნდა თაყვანს სცემდეს ღმერთს მთელის თავის არსებით, რადგანაც მთელის თავის არსებით, სულითა და ხორცით, ვალდებულია იგი თავის შემოქმედის მიმართ. თავის განგებულებით ღმერთი ინახავს კაცის არა მხოლოდ სულს, არამედ მის სხეულსაც. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა ვიცნოთ და განვიხილოთ ღმერთი გონებით, გვიყვარდეს იგი მთელის ჩვენის გულით და ვემსახურებოდეთ მას ჩვენის გრძნობებით. განა ჩვენი სხეული ვალდებული არ არის გამოაცხადოს ღვთის თაყვანისცემა გარეგანის, ხილულის მოქმედებეებით? სხვანაირად მოქცევა არც შეიძლება. მართლაცადა, განა ჩვენ შეგვიძლიან ჩვენი სხეული ძალდატანებით უმოძრაოდ დავტოვოთ, რრდესაც სულით თაყვანსა ვცემთ ღმერთსა? წმინდა სულიერის კულლით თაყვანისცემენ ღმერთს მხოლოდ ანგეგოზები. ჩვენი არსება-კი ორის ბუნებისაგან არის შემდგარი, სულისა და სხეულისაგან. თთ ჩვეენ ამას არა ვცნობთ, მაშ ჩვენზე შეიძლება ითქვას ეს სიტყვები: „ვისაც უნდა ანგელოზად ყოფნა, ის სულელად დარჩება“.

გარეგანი კულტი ბუნებრივად შეადგენს შინაგანი კულტას გამოხატვას. მართლგაცადა, ყოველივე გულწრფელი რწმენა, ყოველი გრძნობა მიისწრაფვის გარედ გაშოხატვას. ეს კანონია ჩვენის ბუნებისა. რომელი ბავშვი, აღვსილი პატივისცემითა და მადლობით თავის მშობლებისადმი, არ გამოსთქვამს გარეგნულად თავის შვილურ გრძნობას? ?რომლის შემბრალებელი გული არ გამოსთქვამს გარეგნულად თავის მონაწილეობას უბედურთა მიმართ? თუ კი-მე შინაგანად თაყვანს ვცემ ღმერთსა, ვის შეუძლიან დამიშალოს გამოვთქვა ეს გარეგნულად? გარეგანი კულტი არის საზრდო და შეწევნა შინაგანის კულტისა. ყოველივე გრძნობა სცოცხლობს თავის გარედ გამოცხადებით, და, თუ იმას არ შეუძლიან გარეგნულად გამოცხადება, იგი ჰქრება, როგორც ცეცხლი უჰაეროთ. სული, უეჭველია, აძლევს ჩვენ საქციელს აზრსა და პატიოსნებას, ხოლო სხეული გარეგნულად გამოსთქვამს და განაწესებს ამ პატიოსნებას. ჩვენი აზრები და იდეები ძალიან ბნელი და ბუნდოვანი იქნებოდნენ, რომ ჩვენი ენა არ აძლევდეს მათ სახეს. რამდენი მეცნიერება დარჩებოდა ჩვენთვის უცნობელად, რომ არა გვქონოდა ჩვენ ნიშნები მათ გამოსახატავად? მაშ რატომ რელიგიის შესახებაც ეგევე არ უნდა ითქვას?

განა შეიძლება რელიგიის არსებობა, რომ იგი არა სულიერდებოდეს ზეპირის ლოცვით, მუხლ-მოდრეკით, საღმრთო წესებით, დღესასწაულებით და რელიგიოზური მრეობით? არა, გულწრფელად რომ ვთქვათ, უგარეგანო კულტოთ, ღვთის თაყვანისცემა შეუძლებელი იქნებოდა. ეს იქნებოდა ათეიზმის დღესასწაული, რომელიც დიდგულობით ამბობს, რომ რელიგიოზური წესები, ცერემონიები, დღესასწაულები სასარგებლოა მხოლოდ უვიცი ხალხისათვის. გარეგნული კულტი საჭიროა, როგორც უსწავლელისთვის, ეგრეთვე ნასწავლისთვისაც.

ისტორია მოწმობს, რომ ყველა ხალხებს, ძველად და ახლად ჰქონიათ საზოგადოებრივი კულტი. რომელ ხალხს არა ჰქონია ტაძრები, დღესასწაულები, საღმრთო წესები? არ არის ერც ერთი ხალხი, რომელიც კმაყოფილდებოდეს ერთის შინაგანის კულტით და ბუნებით, ტაძრის მაგივრად. მართლაცადა, თუ ღმერთი, როგორც ყველგან მყოფი, არ საჭიროებს სახლს, ადამიანი თითონ საჭიროებს ტაძარს. იქ კაცი, მოშორებული ქვეყნიურ ერიამულს, უფრო ღრმად უფიქრდება თავის თავს; იქ ის უფრო ღრმად განიცდის წარმოდგენას ღმერთზე და საიქიო ცხოვრებაზე. კულტის საღმრთო საგნების დანახვაზე, ხალხი სწავლობს, განაახლებს თავის სულში დიდს რელიგიოზურ ჭეშმარიტებაებს და აღიბეჭდავს მათ თავის გონებაში და განმტკიცდება კეთილ-აზროვნებაში.

IV.

იმ კითხვათა შორის, რომლებიც აღელვებენ კაცობრიობას, არის კითხვაც ნატურალიზმზე ანუ ბუნებრივ რელიგიაზე და მეტაფიზიკაზე ანუ ზესთაბუნებითი რელიგიზე. ბუნებრივი რელიგია აკმაყოფილებს თუ არა კაცის სულის მოთხოვნილებაებს, ან ეს რელიგია შევსებულ და გაუმჯობესებულ უნდა იქმნეს ზესთაბუნებითი რელიგიით? აი კითხვები, რომლებიც ჩვენ უნდა ავხსნათ და რომელთა უაღრესობაც აუცილებელია. ინგლისის და საფრანგეთის დეისტებმა, როგორც მაგალითად, ბოლინგბროკმა, ბლუნტმა, შერბიურგმა, რუსსომ გამოაცხადეს თავიანთ თავი წინააღმდეგად ზესთაბუნებითი რელიგიისა და სცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მხოლოდ ერთი ბუნებითი რელიგია, იმდენად, რამდენადაც იგი გასაგებარია ჩვენის გონებით, საჭიროა კაცისათვის და კანონიერია. ჩვენი დროის რაციონალისტებმაც განაახლეს ეს შეცდომა. ამათი აზრით რელიგიას უნდა ჰქონდეს თავის მანათობელად მხოლოდ გონება; იმან უნდა გადააგდოს ყოველივე ზესთაბუნებითი და გახდეს წმინდა ფილოსოფიურად. ზოგიერთები უფრო კიდევ შორს მიდიან. ისინი ამტკიცებენ, რომ ზესთაბუნებითი სრულიად შეუძლებელია; „ბუნება—ეს ყველაფერია, რაც-კი არსებობს,—ამბობენ ისინი,—შეუძლებელია ამიტომ დავუშვათ არსებობა სხვა „რამესი გარეშე- ბუნების კანონებისა“.

ამაზე ჩვენ მოვიგონოთ ზემოთ ნათქვამი. ბუნესითი რელიგიაზე და ზესთაბუნებითზე.

ღმერთმა რომ გაგვაჩინა, დაგვინიშნა ჩვენ, როგორც ყველა სხვა არსებაებს, მიზანი, ჩვენი ბუნების შესაფერისი, მაშასადამე, იმან მოგვიწოდა ჩვენ ვიცნათ იგი მის ქმნილებების საშუალებით, შევიყვაროთ იგი, და მოგვცა ჩვენ საშუალებანი ამ მიზნის მისახწევად: გონება და ნება. განხილვა ღვთისა მისგან გაჩენილი ბუნების საშუალებით, სიყვარული ღვთისა მიმართ, რომელიც გამომდინარეობს ბუნების სიმშვენიერის განხილვისაგან,—აი რა შეადგენს ბუნებითი რელიგიას. დოგმატები ამ რელიგიისა, ფილოსოფიურად დამტკიცებულნი არიან: არსებობა ღვთისა, ქვეყნის შემოქმედის და განმგებელისა, სულიერობა და თავისუფლება კაცის სულისა, არსებობა საიქიო ცხოვრებისა. ბუნებითი რელიგია შეადგენს კუთხის ქვას, რომელზედაც დამყარებულია ზესთაბუნებითი რელიგია. ეს ორი რელიგია განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, და მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლება იმიტომ, რომ მიზნები მათი და ამ მიზნების მისახწევი საშუალებანი იგრეთვე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება მათი გა-

ყოფვა და დაწინაალმდეგება ისე, როგორც ამას შვრებიან „თავისუფლად-მოაზრე ადამიანები“. ეს ორი რელიგია ეხმარება ერთმანეთს, და მჭიდროდ არიან შეკავშირებულები ერთი—მეორესთან: პირველს შეიძლება ვუწოდოთ საფუძველი, მეორეს — თავი.

ყოვლად სახიერმა-უფალმა არ იკმარა მოცემა ჩვენდა მიზნისა, ჩვენის ბუნების შესაფერის. იმან კეთილ ინება მოცემა ჩვენდა უფრო დიდი დანიშნულების: იმან ღირსად გაგვხადა ჩვენ თავისთან ზიარ-ყოფისა არა მხოლოდ ბუნების საშუალებით, არამედ თითონვე მისი განხილვით პირის-პირ; იმან მოინდომა, რომ გვიყვარდეს იგი არა როგორც მონებს არამედ როგორც შვილებს. მაღალი ურთიერთობა ღმერთის და კაცის შორის არის თავისუფალი მადლი ღვთისა თავისუფალი კაცისადმი და შეადგენს ზესთაბუნებითი რელიგიას. განა არის რამე აქ უცნაური და საწინააღმდეგო?“. განა ღმერთს, რომელმაც დაადგინა კანონები ხილული ბუნებისა, არ შეეძლო დაედგინა რაიმე გარეშე ამ კანონებისა, ამ კანონების მაღლა? იმის ნაცვლად, რომ მუდამ თავის ქმნილებაში ეცნობებინა იმას ჩვენთვის თავი, განა არ შეეძლო იმას პირდაპირ გამოეცხადებინა თავის თავი ჩვენთვის? განა შეიძლება განისაზღვროს ყოვლად-შემძლებლობა შემოქმედისა?

ამნაირად, გონება კაცისა არ ეწინააღმდეგება ზესთაბუნებითი იდეიას. ისტორია-კი ამტკიცებს, რომ ზესთაბუნებითი არსეობა ფაქტია რეალური, რომელსაც აქვს საქვეყნო მნიშვნელობა, და მაშასადამე ღვთაებრივი ფაქტია. მართლაცა და, ყოველთვის კაცობრიობას სწამდა რაღაცა უმაღლესი თავის ბუნებაზე და გონებაზე. არ არის ხალხი, რომელსაც არა სწამდეს, რომ იგი იღებს ზეციდან სულიერ ძალის, ღვთაებრივ ძალას.

იდეა მაღალ ზესთაბუნებითი ქვეყანისა, უეჭველია, ხშირად იცვლებოდა, მაგრამ არსებითად ერთი და იგივე რჩებოდა. გარნა, ქრისტეს დროიდან იდეია უმაღლეს სულიერი ქვეყნისა ბრწყინავს სრულის ნათელით და მეფობს ქვეყანაზე. იესო ქრისტე—ეს არის შეერთება ზესთაბუნებითისა და ბუნებითისა, ღვთაებრივისა და მიწიურისა. ქრისტიანობა ეს არის ცხრამეტი საუკუნე ზესთაბუნებითი ცხოვრებისა. მივიღებთ რა ამ საზოგადო ქვეყნიურ ფაქტს მხედველობაში, ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ ღმერთმა ინება ზიარჰყოს კაცი ღვთაებრივი ცხოვრებას, მისცა მას მიზანი უფრო ამაღლებული, მინამ ის, რომელიც შეესაბამება მხოლოდ მის ხორციელ ბუნებას.

მღვდელი იოანნე ღუკანოვი.



ბუნება და ადამიანი.

(გაგრძელება.)

—

დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებას ადამიანის **გონებით განვითარებაზე**, სადაც ზომიერი ჰავაა და კაცს არ აწუხებს არც მეტი სიცხე, იქ ადამიანი უკეთ ვითარდება და ყოველი ნიჭი უფრო მოქმედებს, ხოლო სადაც უკიდურესი ჰავაა და კაცს აწუხებს ან მეტი სიცივე ან მეტი სიცხე, იქ კი ადამიანი უფრო სუსტია გონებრივათ და განვითარება უფრო უძნელდება. ეს მოვლენა უწინ და უწინ უფრო თვალსაჩინო იყო და დღეს კი იმდენათ აღარ ვამჩნევთ, რადგან დღეს კულტურის შემწეობით ისეთი ზომებია მიღებული, რომ ადამიანი ასე თუ ისე ასუსტებს ჰავის გავლენას ღა გონებით განვითარება იმდენათ აღარ ემორჩილება ბუნებას, მაგრამ ჩვენი აზრის დასამტკიცებლათ ისტორიული მაგალითებიც სრულიად საკმაოა, რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას ამაზე ქვევით ვიტყვით და აქ კი მიუხედავათ ამისა უნდა ვალიაროთ, რომ ეჭვს გარეშეა ბუნების გავლენი გონებით განვითარებაზე. ცალკე რომ ავიღოთ რომელიმე მხარე ადამიანის გონებითი მოქმედებისა, იქაც დავინახავთ ბუნების გავლენას. ავიღოთ მაგალითად ენა. ენა არის ერთი უმთავრესი ნაყოფი ადამიანის ბუნებისა და ენის შექმნა-შე-

დგენაში და განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებას; როგორც გამოთქმა სიტყვების ისე შინაარსი, ხასიათი ანუ ჰარმონია ენისა დამოკიდებულია სხვა და სხვა გარეგნულ ბუნებრივ პირობებზე. ჩვენს ქართულ ენაშია 7, 8, ხმა ისეთი, რომ სხვა ქვეყანაში დაბადებული და აღზრდილი ვერ წარმოსთქვამს მათ*).

ბუნება უტყუარ დაღს აჯენს ადამიანის **მთელ კულტურაზე**". ამის დასამტკიცებელ მაგალითს იძლევა ძველი საბერძნეთის ისტორია და აი რანაირად.

ძველი**) საბერძნეთი იყო სწორეთ უპირველესი ადგილი და ყოველი ღირსებით შემკული მხარე: ზომიერი ჰავა, მშვენიერი მთა-გორები და ჭალები ერთი ერთმანეთზე მიწყობილი, მდინარეებით ზომიერათ მორწყული, სამი გვერდით ზღვა კუნძულებით აჭრელებული; საუცხოვო მცენარეებით და სხვა და სხვა ბალახებით უხვათ ამწვანებული მინდვრები, ხშირი ტყეები, მგალობელი ფრინველებით სავსე; ძვირფასი ტკბილი ხეხილებით სავსე არე მარე. ასე რომ მთელი ბალკანია ბაღს წარმოადგენ— და და აი ამ ბაღში დაიბადა ძველათ ბერძენი. ბუნებამ მშვენიერი აკვანი გაუმზადა ბერძენს, მის დაბადებას შეხვედა სავსებით შემკული ბუნება, თითქოს პატრონს უცდიდა. ბუნება, როგორც გაშლილი სტოლი სხვა და სხვა ტკბილეულობით და სასმელ საქმელით გამზადილი თითქოს სტუმარს ელოდა და აი ეს მოსალოდნელი სტუმარიც ბერძენი იყო. ახალ დაბადებულ ბერძენს საუცხოვო გამაცოცხლებელი ცვარი მოხვდა თვალებში და რომ გამოიხედა თვალწინ გადაეშალა ბუნების მშვენიერება; ფრინველთა ჭიკჭიკმა ყურთა სმენა დაუტკბა, ბუნების მშვენებამ და ზღვის ღელვამ თვალთა ხედვა გაუნათლა, ნოყიერ ნიადაგზე მოსულმა მშვენიერმა ხილმა გული დაუტკბა, ამგვარად ბერძენს ქვეყანა მშვენიერების თაიგულათ მოეჩვენა და აღტაცებაში მოვიდა. ეს აღტაცება მან სიმღერაში გამოხატა და სწორეთ ამიტომაც შექმნა ბერძენმა საუცხოვო მუსიკა. ბუნების მშვენებამ ხასიათი აუთამაშა ბერძენს და მისი ოცნება აამოძრავა,—ეს ყოველივე ბერძენმა ლამაზი ენით გამოხატა ლექსებში, და მართლაც ბერძენმა შექმნა უმაღლესი პოეზია. ქვეყნათ ყველაფრით დამტკბარმა ბერძენმა მაღლა აიხედა და სთქვა აქაური მშვენიერება არის ალბათ ქმნილება რაღაც მიუწდომელი ციური ძალისა, და ის რაც დედა-მიწის ზევით დაინახა მათ უმროსათ უცნობი ძალა დასახა და ამგვარათ ცა დედამიწას შეუკავშირა და შექმნა ტეოლოგია ანუ მოძღვრება ღმერთებზე. ბუნებამ ძლიერ დააინტერესა თვისი მშვენიერებით ბერძენი და მისი გონება დააფიქრა იმ საკითხზე თუ როგორ გაჩნდა ეს მშვენიერება, ვინ არის, გამჩენი მთელი ქვეყნიერებისაო და სხვა... ამიტომ პირველი ფილოსოფიური კითხვები ბერძენის გონებაში დაიბადა და ამ კითხვების საპასუხოთ ბერძენმა შექმნა ღრმა შინაარსის ფილოსოფია—ეს ადამიანის გონების შემამკობელი სიმდიდრე. განვლო 25 საუკუნემ და დღესაც განათლებული ევროპა თავისი საუკეთესო წარმომადგენლების პირით ქედს იხრის საბერძნეთის ფილოსოფიის წინაშე. პლატონი, არისტოტელი და სოკრატი და მათი მოძღვრება დღესაც ქვა-კუთხედია ფილოსოფიაში და ვინ იცის, როდის მოევლინება ფილოსოფიის ჰორიზონტს, მათ მაგიერი ეარსკვლავი.

ბერძენმა დააფასა სამშობლოს სიმდიდრე, დაეპატრონა ამ ქვეყანას და შეიყვარა იგი, შეებრძოლა მოდავე მტერს და თავგანწირულათ დაიცვა თავის საკუთრება, ამგვარათ სამშობლოს სიყვარული და ნამდვილი პატრიოტიზმი საბერძნეთში დაიბადა. მარტო გომერის ნაწერები კმარა იმის დასამტკიცებლათ, რომ ბერძენ ენაში გრძნობა და საშობლოს სიყვარუ

*) იხილე ჩვენი წიგნი: „ენის გაჩენა" გვერდი 37—38.

) **შენიშვნა. ჩვენ სახეში გვაქვს ძველი საბერძნეთი. თორემ დღევანდელი, ისტორიული ბერძენის და თანამედროვე ბერძენის ეროვნული გარეგნობის შემაჯამებელი, დამახინჯებულია და მის წინანდელი მშვენიერების მარტოდენ ხიშნებიღა აღარ აქვსთ.

ლი გაღმერთებული ჰქონდა ბერძენს. საბერძნეთის ბუნების სიმდიდრე ეროვნულ სიამაყეს იწვევდა ბერძენში და ამ სიამაყით განვითარებულმა თვითცნობიერებამ ბევრი სასიქადულო და საისტორიო გმირობა ჩაადენია ბერძენს. იშვიათია მსოფლიო ისტორიაში ისეთი რაინდობა, როგორსაც ჩადიოდა საბერძნეთის გმირები. სწორეთ ჭეშმარიტებათ უნდა ვაღიაროთ ისტორიაში, რომ საბერძნეთიც მშვენიერი ქვეყანა იყო და იქ მცხოვრებიც პირველი ხალხი იყო და კაცობრიობის კულტურაც იქ დაიბადა. ბუნებამ იქ მოაწყო სამოთხე და ადამიანის გონებამაც იქ აიწია მიუწდომელს სიმაღლეზე.

ცხადია ბალკანეთის ბუნების გავლენა საბერძნეთის კულტურაზე, ნამეტურ და განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ესტეტიკურ განვითარებაზე და ქმნილებაზე. ბერძნული განვითარებული ენა, ღრმა პოეზია და მაღალი მუსიკა —ნამდვილი გამომხატველია საბერძნეთის მშვენიერი ბუნებისა.

ბუნების დიადი გავლენა ადამიანზე კიდევ უფრო ცხადათ წარმოგვიდგება თვალწინ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ადამიანი ძლიერ შეჩვეული და შეზრდილი არის ხოლმე ბუნებას. ერთ ადგილს შეჩვეული კაცი როცა ბინას გამოიცვლის, განსაცდელში ჩავარდება, სიცოცხლე უძნელდება და ხშირათ კიდეც ესპობა. აქ მეტათ საყურადღებოა და მეტი მნიშვნელობაც იმ მაგალითებს აქვს, როცა მდარე ქვეყნიდან ანუ ცუდი ჰავიანი ადგილიდან ადამიანი საცხოვრებლათ კარგს ქვეყანაში გადადის და იქ ის ავათ ხდება, სნეულდება და კვდება.

ზემოთ მოყვანილი აზრები და მაგალითები საკმაოდ გვიმტკიცებენ რომ ბუნებას აქვს გავლენა ადამიანის ცხოვრების ყოველ მხარეზე და ყოველი მოქმედება ადამიანისა დამოკიდებულია ბუნებასთან ანუ ადამიანის საცხოვრებელ ადგილის გარეგნულ პირობებთან.

ბუნების დიადი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში და ბუნების ძლიერი გავლენა ადამიანზე შემჩნეული იყო ძველ დროშივე. რომ გადავხედოთ ძველ ისტორიას დავინახავთ რომ ყველა მაშინდელი ხალხი ეგვიპტელები, ბაბილონელები, ფინიკელები და სხვანი ბუნებას აღმერთებდენ. თუმცა ამ ხალხს სხვა და სხვა მითოლოგია ჰქონდათ, მაგრამ ყველას მითოლოგიაში ბუნება გაღმერთებულია ან და ცალ-ცალკე რომელიმე ძალა ანუ მოვლენა ბუნებისა. მზე და მთვარე თითქმის ყველგან ღმერთათ იყო დასახული. უპირველესი და დაწინაურებული ხალხი ბერძნები და რომაელები აღმერთებდენ ბუნებას და თუმცა მათი მითოლოგია უმფრო მაღალი შინაარსის იყო, მაგრამ ბუნების ძალა მათაც ღმერთათ მიაჩდათ ბუნების ძლიერებას აღიარებდენ ძველი ფილოსოფოსები. სოკრატმა სთქვა: „მიჰყევ ბუნებასო“ („Слѣдуй природѣ“) მე 18-ტე საუკუნეში რუსსო აღიარეედა ცხადათ მშვენიერებას და თანაც ძლიერებას და ქადაგებდა, რომ ბუნებას უნდა მიჰყვეს ადამიანი. „ყველაფერი ბუნებრივი მშვენიერია, მხოლოდ კაცის ხელში ყველაფერი ფუჭდებაო“. აღზრდის საქმეში რუსსო უპირველეს ძალას ბუნებას აძლევდა და ადამიანი მხოლოთ უნდა მიჰყოლოდა ბუნების ჩვენებას. მიახლოვებით იგივე გაიმეორა მე 19 საუკუნეში და დღესაც თავ-განწირულათ იცავს ამ აზრს რუსეთის შესანიშნავი მწერალი ლევ ტოლსტოი*). ბოლოს ეს საკითხი. მეცნიერულად გამოიკვლია და დაასაბუთა შესანიშნავმა ინგლისის მეცნიერმა ბოკლმა. მისი გამოკვლევით ბუნება არის მომქმედი ძალა, ბუნების პირობები ჰქმნის ცხოვრების მიმართულებას ანუ ხასიათს და ადამიანი კი ყურმოჭრილი მონა არის და ბუნების ბრძანების ქვეშ მოქმედებს. ბოკლის გამოკვლევის შემდეგ ერთ დროს მეცნიერებაში დამკვიდრდა ის აზრი, რომ ბუნება არის მომქმედი ძალა და ადამიანის ცხოვრება ქვეყანაზე ეწყობა ბუნების გავლენის მეოხებითო.

---

*) აღზრდის საქმეში რამდენათ მართალია ასეთი შეხედულება ბუნებაზე და რამდენათ სასარგებლო ამ შეხედულებით ხელმძღვანელობა ამის შესახებ ჩვენს აზრს სხვა წერილში გამოვსთქვამთ და ეხლა ამის შესახებ ლაპარაკი არ შეადგენს ჩვენს პირდაპირ საგანს.

თუმცა ბოკლის შრომა მეტათ შესანიშნავია და მეცნიერება მისი შეხედულებით კიდევ დიდ ხანს იხელმძღვანელებს, მაგრამ სამწუხაროთ ცალ-მხრივობა ვერ აიცდინა ბოკლმა და ამიტომ მისი შეხედულება ჭეშმარიტი არ არის. ყოველ შემთხვევაში ბოკლის შემდეგ ბუნება აღიარებულ იქმნა ისტორიის უპირველესს ფაქტორად და ადამიანს ისტორიის მიმდინარეობაში უკანასკნელი ადგილი მიეცა.

თუმცა ზემოთ მოყვანილი აზრები ამტკიცებს, რომ ბუნებას აქვს დიდი გავლენა ადამიანის გარეგნობაზედაც და გონებრივ განვითარებაზედაც, მაგრამ ბოკლის აზრი მაინც გადაჭარბებულია. ბოკლმა დაწვრილებით გამოიკვლია ერთი მხარე ამ საკითხისა სახელდობრ—ბუნების გავლენა ადამიანზე, მეორე მხარე—ადამიანის გავლენა ბუნებაზე ანუ ადამიანის ძალა ბუნების დასამორჩილებლათ ბოკლს არ განუხილავს და ამიტომ ბოკლმა საკითხი ცალ-მხრივათ გადასწყვიტა.

(შემდეგი იქნება).

ღია წერილი

ათონის მთის ქართველ მოღვაწეთა მიმართ.

—

წმინდა ათონის მთის მოღვაწეთა — მამათა და ძმათა; ნინამოძღვარს იონას ძმებითურთ მადლი და მშვიდობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

ძმანო და მამანო! მოგიკითხავთ სიყვარულითა ქრისტესითა და ვიხარით თქვენზედა, რადგან მოღვაწეობა თქვენი განთქმულია მთელ ათონზე სასახელოდ ივერიის ერისა და ეკლესისა, რომელიც ოდესღაც ბრწყინავდა სარწმუნოებითა და სიყვარულითა ქრისტესითა. ვიხარი, რომ თქვენი მცირერიცხოვანი ძმობა დარჩენილა წმ. მთაზე მემკვიდრედ ძველთა ქართველთა მოღვაწეთა, რომელთაც საღვთო მოღვაწეობითა თვისითა და ქველის საქმითა არა თუ სახელი მოუხვეჭეს სამშობლო ერსა და ეკლესიას, არამედ სხვა ხალხებ'აც მოჰფინეს სხივი ღვთის მეცნიერებისა და აჩვენეს მაგალითი ნამდვილი სულიერი მოღვაწეობისა, რომელთა მედგარი და დაუღალავი შრომით დღესაც ისმის საქართველოს ეკლესიებში ტკბილი ქართული ენა და მაზე დაწერილი საღვთო საგალობლები. მხოლოდ ვწუხვართ, რომ მოღვაწეობა თქვენი არ ანათებს თქვენსავე, დღეს დაჩაგრულს, ივერიის დედა ეკლესიას; ვწუხვართ, რომ თქვენ აოა ხართ შეერთებული მასთან იმ მტკიცე კავშირითა, რომლითაც შეერთებული იყვნენ თქვენნი წინაპარნი მოღვაწენი, რომლებიც თავის თავს ხადოდენ მხოლოდ რტოდ ივერიის ეკლესიისა, რომელსაც, თუ გარემოება მოითხოვდა, სიცოცხლესაც კი შესწირავდენ ვწუხვართ, რომ ჩვენ არ გვესმის ერთმანეთის გულის ტკივილი —თქვენ ჩვენი,—დაბეჩავებული, სარწმუნოება—დაკარგულ მშობელ ერისა, ხოლო ჩვენ თქვენი, გადაკარგულ-გადახვეწილი შვილებისა და დაღუპულ დიდებისა ივერიის მონასტრისა, ამ ჩვენი ქრისტიანულ განვითარების აკვნისა, ამ ჩვენი ქრისტიანულ განვითარების აკვნისა, ჩვენი სულიერ ძალების გამომაჩინებელისა და აღმზრდელისა, რომელსაც დღეს ბერძნები ფლობენ, ის ბერძნები, რომლებიც ბევრით დავალებული არიან ძისგან და მისი მშობელი ერისა და ეკლესიისაგან. ვწუხვართ, რომ თქვენ თითქოს საბოლოოდ მოსწყდით მშობელ მხარესა და ეკლესიას. რომლის მდგომარეობა აღარ გაინტერესებსთ, რომლის ჭირი აღარ გაღონებთ და არც ლხინი გახალისებსთ; ვსწუხვართ, რომ გაწყვეტილა ჩვენ შორის ის დედა ძარღვი, რომელიც ერთებდა ურთი ერთ შორის ძველ ათონსა და ძველ საქართველოს, რომელსაც გადაჰქონ-გაღმოჰქონდა მათ შორის ერთი მეორის მწუხარებაც და სიხარულიც, რომლითაც ორივე სცოცხლობდა და სულდგმულობდა.

ასეთი განცალკევება და გათიშვა ძალას გართმევს თქვენც, როგორც ერთ მუჭა მოღვაწე მებრძოლებს წინააღმდეგ ბერძნების მძლავრობისა და ჩვენ-ერის მორწმუნე ან—

წილს, რომელსაც მხარში არ უდგიან და არ ამაგრებს თქვენი თავგანწირული ანგელოსებური მოღვაწეობა.

ამ ნაირად ორივე დასუსტებული და დაბეჩავებული სულს ვლაფავთ და მით ვახარებთ ჩვენი მამულისა და ეკლესიის მტრებს. მეტად სამწუხაროა და სავ ლალო ასეთი მდგომარეობა. იგი ახლო მომავალში გვიქადის სრულ დაცემას და დამარცხებას, სრულ მოსპობას და განადგურებას. და მაშინ, არა თუ ივერიის დედა მონასტერი, რამედ თქვენი მოღვაწეობით გაშენებული სავანეც და ჩვენი საერთო, ძვირფასი, ქვეყნის თვალი ივერიაც ყვავ-ყორნის საბუდრად და ტურა-მგლის სათარეშოთ გახდება. ამიტომ საჭიროა ეხლავე მტკიცეთ შეუდგეთ ერთმანეთის დაახლოვებას, ერთმანეთის ჭირისა და სალმობის ტვირთვას, ერთმანეთის ხელის გაწვდას, ერთმანეთის შველას, ერთმანეთის ფეხზე წამოყენებას და გამაგრებას.

დღეს ივერიის დედა ეკლესია განსაცდელშია, დღეს სარწმუნოება რყევაშია, დღეს მამა-პაპათაგან გადმოცემული ზნე-ჩვეულება და ქრისტიანობა იღუპება, ერი სულით ეცემა, ბეჩავდება, ირყვნება და გადაგვარების გზას ადგია. ცოტა ხანიც და, ვინ იცის, რის მოწმეთ გაგვხდის ქართველის უკუღმართი ბედი?!

უთუოდ კი ხანია, თქვენ ძმობას ახალი მოღვაწე აღარ მომატებია ქართველთაგან. ეჰვ გარეშეა შეწირულებაც ნაკლებათ მოუდის დღეს თქვენ სავანეს. ამათი მიზეზი სარწმუნოების დაცემა და ერის სულიერად და ნივთიერად გათახსირება არის, იმათი შემოქმედი ერის გადაგვარ-გადარჯულება არის. რომ სარწმუნოება წინანდებურად ჰყვაოდეს, რომ ქართველი ნამდვილი ქართველი იყოს, ეს არ მოხდებოდა.

ასეთ დროს კავშირის გაწყვეტა და გულხელის დაკრეფა სიკვდილის მომასწავებელია. როცა ერს და ეკლესიას შველა სჭირდება, მაშინ თავის თავზე ფიქრი, თუნდა ლოცვაც პირად ცხოვნებაზე, თვითმოყვარეობაა და არა მოსაწონი საქციელი ღვთის წინაშე. ამ დროს ყოველი ჭეშმარიტი მორწმუნე იმაზე უნდა ფიქრობდეს, თუ როგორ დაიხსნას თავის ძმა საუკუნო გენიისაგან.

აბა იფიქრეთ, რა იქნებოდა, მოციქულები რომ თავის პირად ცხოვნებას დაფათურებოდენ და სხვანი უმეცრებაში დაეტოვებიათ ქრისტესა და მის მოციქულების შესახებ. რა მოსაწონი საქმე იქნებოდა ღვთის წინაშე მათი ასეთი უგულოებელს ყოფა მოყვასთა, რა ჯილდოს დაიმსახურებდენ იგინი ღვთისაგან, რომ ქვეყანასთან კავშირი შეეწყვიტათ იმ დროს, როცა იგი (ქვეყანა) უმეცრებისა და უსჯულოების მორევში ინთქმებოდა.

აბა წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, რომ ათონის წმ. მამებს და მოღვაწეებს გიორგი მთაწმინდელს, იოანეს, ექვთიმეს, და სხვებს დაევიწყნათ თავის სამშობლო ერიც, ენაც და ეკლესიაც, არ დაედოთ ღვაწლი სამშობლო მხარისათვის და არ ეთარგმნათ ქართულ ენაზე სალვთო-წერილი, იმ ვაგლახ დროს, როცა ლათინთა და სომეხთა მწვალებლობა შთანთქმას უპირებდა ივერიას მართლ-მადიდებლობას. მაგრამ მათი მადლიანი მარჯვენა არა თუ მხოლოდ სამშობლო მხარეს შველოდა, არამედ გარეშე ერთ მორწმუნე ერებსაც. გახსენეთ, რა ღვაწლი დასდო თორნიკემ საბერძნეთს. სამშობლო მხარის სადიდებლად და ერთ-მორწმუნე ერის გამოსახსნელად მან დროეშით მიატოვა ბერობა და აღიჭურვა სამხედრო იარაღით, ძლევამოსილად გაიმარჯვა და აურაცხელი სიმდიდრით დაბრუნდა ათონსვე, სადაც იოანესთან ერთად ააგო დიდებული ივერიის სავანე.

დღეს ივერიის მართლმადიდებელი ეკლესია დიდ გაჭირვებას განიცდის. დღეს სარწმუნოების მტერნი ამდგარი არიან მის წინააღმდეგ სიტყვით და საქმით; დღეანდელი ნასწავლი ქართველი უთუოდ მტერია ეკლესიისა და ან გულ-გრილა შვილი მაინც: არიოსის და ნესტორის მოძღვრებამ ღრმა ფესვი გაიდგა გიორგი მთაწმინდელის და ევთიმე ქართველის სამშობლოში, მონასტრები აღარ ბრწყინავენ მოღვაწეებითა; ეკლესიები დაგვიცალიერდა; ხალხმა პირი იბრუნა უსჯულოებისაკენ; სამღვდელოება დაეცა ზნეობრივად

გონებრივად, სარწმუნოების მხრითაც არაფერ სანუგეშოს წარმოადგენს დღეს იგი; ასე, რომ ძნელი გამოსაცნობია, ვინ უფრო ურწმუნოა; ხალხი, ნაწავლი თაობა, თუ სამღვდელოება. ბევრმა მღვდელმა ამ უკანასკნელ ხანებში ანაფორაც გაიხადა და გუშინ ტრაპეზის მოსამსახურე, დღეს ტაძარსაც გაურბის და თავის უმგვანი საქციელით არცხვენს და თავლაფს ასხამს მთელ სასულიერო უწყებას და მით საფლავს უთხრის სარწმუნოებას და მასთან ერთად ერის აწმყო და მომავალ კეთილდღეობას,

თქმა არ უნდა, სარწმუნოება შერყეული ხალხი, რომელსაც ამასთან თავს არ ადგია ღრმა მორწმუნე და თავდადებული სამღვდელოება, ყოველგვარ უსაქციელობას ჩადის. ამიტომ მკვლელობა, თვითმკვლელობა, ძარცვა-გლეჯა, მეძაობა, ცილის წამება, ცრუ ფიცი და სხვა აურაცხელი ბიწიერებანი მეტათ გახშირდა დაბალ ხალხში. არც გასაკვირვალია რადგან ქრისტეს მოძღვრების სრული უვიცია და ზნეობრივ აღზრდას მოკლებული. მას შემდეგ, რაც ჩვენი ძველი საღვთო სწავლა-მეცნიერება დაიკარგა, მას შემდეგ, რაც მთაწმიდელების ნაწერები არხეოლოგიურ იშვიათ ნაშთებათ გადაიქცენ, მას შემდეგ რაც საქართველოს ეკლესიას თავის თავის მოვლა-პატრონობაზე ხელი ააღებინეს, მას შემდეგ— ხალხს არაფერი უკითხავს, არაფერი გაუგონია ღმერთზე და სარწმუნოებაზე, არ უნახავს თავდადებული მოძღვარი, არ გაუგონია ქართული ტკბილი გალობა, არ მოუსმენია თავის მწყესთ-მთავრის ცოცხალი სიტყვა, არ განუცდია მისი მამობრივი სიყვარული და გულშემატკივრობა.

რას გვავალებს დღევანდელი ასეთი მდგომარეობა სამშობლო მხარისა და ეკლესიისა ხალხის მორწმუნე ნაწილს? მას—რომ გული უნდა შეგვტკიოდეს გზადაკარგულ მოძმეთათვის, უნდა ვცდილობდეთ ყოველივე მივიყვანოთ მასთან, ვინც ჩვენ მოგვცა მეცნიერება სარწმუნოებისა, ვინც ჩვენ მოგვიყვანა ცნობად ჭეშმარიტებისა, უკანასკნელ ღონისძიებას უნდა ვხმარობდეთ დავნერგოთ ქვეყნად ის სასუფეველი, რომელსაც ქრისტე ქადაგებდა, აღვზარდოთ მორწმუნენი მემკვიდრენი მერმისა დაუსრულებულისა ნეტარებისანი, ე. ი. ვთესოთ იფქლი, წმინდა ხვარბალი სახარების მოძღვრებისა და საქმით ვაჩვენოთ, თუ რა სიგმირემდის, რა თავგანწირულებამდის და თავდავიწყებამდის შეუძლია მიიყვანოს მორწმუნე ადამიანი ქრისტიანულმა ძმათ-მოყვარეობამ და სამშობლოს სიყვარულმა. იხილეთ რა ღვთაებრივი სიყვარულით იყო აღსილი უფალი ჩვენი იესო ქრისტე სამშობლოსადმი, რაზომ სცდილობდა მოექცია ურიანი, რაზომ შველოდა მათ ყოველ გაჭირვებაში და რაზომ ჰგოდებდა და სტიროდა იგი იერუსალიმსაზედა უკანასკნელად, როცა ყოველმა ცდამ მისი მოქცევისათვის ამაოდ ჩაიარა.

ასეთი მაგალითი უფლისა და მცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი გვავალებს ჩვენცა, ძმანო და მამანო, და ყოველსა მართლ-მორწმუნესა, რათა ძალისამებრ ჩვენისა მარადის ვილვწოდეთ მოყვასთათვის ჩვენთა, მარადის ვზრუნვიდეთ სამშობლოისა ერისა და ეკლესიისთვის,

ხოლო რაში უნდა გამოიხატოს დღეს თქვენი ზრუნვა სამშობლო მხარეში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის? როგორც ზემორე მოვიხსენიეთ ხალხს არ აქვს საკითხავი წიგნები, საიდანაც შეეძლოს, გაეცნოს ქრისტეს მოძღვრებას და წმიდა მამათა ცხოვრებას, სამღვდელოებას არა აქვს სახელმძღვანელონი, რომ თვით აღიჭურვოს ცოდნითა და მოძღვარ და ხელმძღვანელ ექნეს მორწმუნეთა. ამასთან ჩვენი ძველი მდიდარი საღვთისმეტყველო მეცნიერება არა გვაქვს ცნობაში მოყვანილი, ძველი მამათა ნაწარმოები თითქმის ყველა ჯერ ისევ ხელნაწერებად იმექონებიან და მაშასადამე მიუწდომელი არიან უმრავლესთათვის ასე გასინჯეთ, ბიბლიის (განსაკუთრებით ძველი აღთქმის) რამდენად მე გასაგები და ხალხისთვის სახმარი გამოცემა არ მოგვეპოვება; რომელიც გვაქვს, ისიც ძვირი და მეტათ ბუნდოვანი და გაუგებარი ენით თარგმნილი. ამ წიგნთა-წიგნზე აღიზარდა თითქმის მთელი ქრისტიანობა, ამ წიგნს კითხულობს დღეს მთელი განათლე-

ბული კაცობრიობა, და ჩვენმა ხალხმა კი მისი არაფერი იცის. რაღა ვთქვათ საეკლესიო წიგნებზე? დიდი ნაკლულევანება გვაქვს დღეს ამ წიგნებისაც ჩვენ ეკლესიებში. გულვანი ხომ თავის დღეში თვალით არ უნახავს ჩვენ ეკლესიებს, გარდა მონასტრებისა, სადაც ხელნაწერებათ იმექონებიან. ხსენებულ წიგნების, სახელმძღვანელოების, მამათა ცხოვრების და ძველი საჭირო ხელნაწერების გამოცემა დიდათ დაეხმარება ქრისტიანობის განმტკიცებას, დიდათ ხელს შეუწყობს ერის სულიერად აღდგენას და გაღვითცნობიერებას. განსაკუთრებით სულმნათ ჩვენსამშობლომხარისმამათაცხოვრების გაცნობა ფრთებს შეასხამს თანამედროვე ბერობას და განაღვიძებს აქამომდე მიძინებულ საღვთო მოღვაწეობის სურვილს, რაც, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, აღადგენს ივერიის დიდებას—ათონის წმ. მონასტერსაც.

ხოლო ყოველივე ნათქვამის მოწესრიგებას საშუალება უნდა და აი სწორეთ ამ მხრივ გვჭირდება დღეს თქვენი დახმარება, ძვირფასნო და სანატრელნო მოღვაწენო, გვჭირდება დახმარება ნივთიერათ, რაც თქვენ სავანეს ადვილად შეუძლია. თუ როგორ უნდა მოეწყოს საქმე წიგნების გამოცემისა და ხალხში საღვთო ქადაგების გავრცელებისა ამაზე მოვილაპარაკებთ შემდეგ, როცა თქვენგან მივიღებთ დასტურს ძმურ ხელის გაწყობის სურვილზე. ამ საქმეში ბევრს დაგვეხმარება იმერეთის ეპარქიაში არსებული ძმობაც, რომლის წესდებას ამასთანავე გიგზავნით. ხოლო ამ პირველად საკმარისი იქნება თუ სავანე საბეჭდავ სტამბას შეიძენს თავის სახელზე იმ პირობით, რომ იგი შეადგენდეს სავანის საკუთრებას და ემსახურებოდეს მხოლოდ წიგნებ წიგნაკების და ჟურნალის გამოცემას ათონის სავანის სახელით. ამ საგნისათვის სრული საკმარისი იქნება ჯერ-ჯერობით 6000 მანეთი. ეს თანხა სავანისთვის დაკარგულად არ ჩაითვლება, რადგან სტამბა სრული მისი საკუთრება იქნება, მხოლოდ იარსებებს ქუთაისში სავანის მინდობილობით.

სრული დარწმუნებული თქვენი ძმობის საღვთო განწყობილებაში დედა ეკლესიის მიმართ, სრული დაიმედებული საღვთო მადლით, რომ თქვენ ვალდებულად გაიხდით თავს ხელი გაუწყოთ გაჭირვებაში მყოფ სამშობლო ერსა და ეკლესიას დავშთები მარად თქვენი მოღვაწეობისათვის მლოცველნი.

პროვინცია.

დ. სამტრედია. 27 ნოემბერს ჩვენს დაბას ეწვია ფრიად იშვიათი სტუმარი,—სრულიად რუსეთის სასულიერო უწყების სკოლების მეთვალყურე, ტაინი სოვეტნიკი ბ. ვასნეცოვი, რომელიც საგანგებოთ კავკასიის სკოლათა მდგომარეობის გასაცნობათაა წამოსული პეტერბურგიდან. შაბათს, 27 ნოემბერს, იმპერიის მეთვალ-ყურემ დაათვალიერა (მას თან ახლდნენ: ოლქის მეთვალყურე დეკ. პამვევიჩი, ეპარქიის მეთვალ-ყურე დეის. სტ. სოვ. ბ. ყორდანია და მაზრის სკოლების მეთვალ-ყურე მღვდ. მ. ძაგირაშვილი და რაზმი შოლიცილთა) კულაშის, ჭაგანის, ცხენიშის და ხუნჯულაურის სკოლები. პირველმა სამმა სკოლამ ვერ გაამართლა სამოსწავლო საბჭოს იმედი, რადგან, როგორც მასწავლებლები, აგრეთვე შაგირდებიც ვერ აძლევდნენ მოწყრილად და მკაფიოთ პასუხს დასმულ კითხვებზედ მეთვალ-ყურეს. ხოლო დიდი სასიამოვნო შთაბეჭდილება მიიღო ხუნჯულაურის სკოლაში, სადაც მასწავლებლათ იმყოფება ბ. გიორგი წიქწიკაძე. შაგირდების აუჩქარებელმა, მკაფიო და ლოღიკურმა პასუხებმა აღფრთოვანებაში მოიყვანა უცხო სტუმარი. დასასრულ მეორე განყოფილების შაგირდებს ზეპირად მოსთხოვა იგავ-არაკი. შაგირდებმა უთხრეს: ,,Прохожіе и собаки“ და ,,Чижъ и голубь“ და სხვა. აგრეთვე ჰკითხა შაგირდებს ქართულში და საღვთო სჯულში. არა ნაკლებ ესიამოვნა მეთვალ-ყურეს მასწავლებლის გამოცდილი და აუჩქარებელი პასუხები მის კითხვებზედ და გულწრფელი მადლობა შესწირა მასწავლებელს თავდადებული შრომისათვის.

როდესაც სკოლიდან გარეთ გამოვიდნენ, იქვე ერთი გლეხი წარუდგა ბ. ვასნეცოვს და მასწავლებელ წიქწიკაძეს უჩივლა: ,,ჩემი მოსწავლე ქალი მასწავლებელმა გამორიცხა სკოლიდან, რადგან ეკლესიაში წირვის დროს ცელქობდაო“. მეთვალყურემ ამისათვისაც ხელი ჩამოართვა მასწავლებელს, წიქწიკაძეს და მადლობა გადაუხადა კანონიერი მოპყრობისათვის.

სიმონ თვალთვაძე.

სოფელი თლუხი*). ეს სოფელი სძევს რაჭის მაზრაში, ნიკორწმიდის საზოგადოებაში, საწყლიკის მთის მარცხნივ. მცხოვრებნი ამა სოფლისა მეტ წილათ დურგლები არიან, რომელნიც ეოკეკლ წელს გადიან სხვა და სხვა სოფლებში სამუშაოთ, ხოლო ოკტომბერს ცოლ-შვილის ამედათ ტოკებენ. სიღარიბე მაწის მუშობასაც მისდევს, და მოჭუკს მცირედი სიმინდი და ბუჩი. სხვა მოსავალი აქ არაფერი მოდის; აქ არაა არავითარი საზოგადო დაწესებულება, გარდა ერთი სამრევლო შკოლისა და ეკლესიისა, რომელნიც არიან მ. მღვდ. იოანე ჭიჭინაძის გამგეობის ქვეშ.

ეს მ. იოანე ერთათ ერთ ნასწავლ პირს შეადგენს ამ სოფლისას, რომელმაც დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. შემდეგ კურს დამთავრებისას იგი მასწავლებლად იყო სასულიერო სასწავლებელში აქვე შეირთო ცოლი და აქვე იქმნა ნაგურთხი მღვდლად, მაგრამ სამეგრელოს ჭაბუკმ არ შეითვისა იოანეს აგებულება და ამიტომ იგი გადმოუვანიეს იქმნა სამშობლო, ნიკორწმიდის საზოგადოებაში, და შემდეგ—თვის სოფელ თლუხში. ეს ამბავი მისს მეზობლებს და მოყვარეებს ძლიერ ესიამოვნათ, რადგან სოფელს ეგონა ცოტათ თუ ბევრათ ხელს შეუწყობდა და გასათლების გზაზე დაუყენებდა. მაგრამ მამა შკოლის მმართველმა არამც თუ სხვა რამ დაწესებულება შესძინა სამშობლო სოფელს, არამედ ეს ერთათ ერთი შკოლაც შეიძულა და ახლოს არ ეკარება. მაგრამ შკოლის ვალა ჩვენდა, რომ ეკლესია არ მოეძულებია, იქაც ძვირათ დაბძანდება წმ. სიდუმლოების შესასრულებლად. მაშ რას აკეთებს? მან, როგორც უცოლ-შვილო და ფულიანმა, თავისი საშვალებით უყიდა დუქანი ერთ თავის ძმის შვილს და ერთ თავის მრევლთაგანს, მოუმატა ქარხანის რამოდენიმე ოთახი, სადაც დაუწყობია საწერამალო, ფართალი, შურ-დვინო და გამართა სახარაზო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ამხანაგებმა მცირე დასლი უჩვენეს მამა ხაზეანს იოანეს; ამის შემდეგ რა ექნა? ისევ იფიქრა და ბოლოს ეს ხერხი მოიგონა: დათხოვა ორივე მოვაჭრენი და თვითონ ჩაჯდა დახლში. საწოლიც აქვე მოიწყო და დღე დამ არ შორდება იმას. შკოლა და ეკლესია კი თავისუფალ არიან... მაგრამ სალოს მაინც აქვს თავისი რწმენა, თუმცა მღვდელი ეკლესიაზედ არ მიდის, მაგრამ საკურთხი დუქანში მიაქვს, იქ აკურთხევს და იქვე შეეძლება, ხოლო თუ მეტი მოუვიდათ მისამატსაც მზათ იშოვნიან, რასაც კი მოისურვებენ. ხშირათ ნახულა, რომ მ. იოანეს თავისი ხელით მიურთმევია სახსნილო საჭმელები, როგორც თავის მრევლთან, ისე ჭიათურიდან მომავალ მგზავრებთანაც. ასეთი ბატონი მკითხველო ს. თლუხის ამბავი და მის მღვდელის... მაგრამ ამ ერთ მღვდელს ნუღარ ვაწუხებთ, თუ მას სხვებმაც არ წაბაძონ.

თლუხელი

*) სამწუხაროა და ყურადღება მისაქცევი ვისგანაც ჯერ არს ეს არაშესაფერი საქციელი.

რედაქცია.

დ. საჩხერის ეკლესიის კურთხევა და ფილიპე გრიგორის ძე მგალობლიშვილი.

21 ნოემბერს, დღით კვირას მისმა მეუფებამ აკურთხა საჩხერის ახალი წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელის სახელობაზედ აგებული ტაძარი. შესრულდა თუ არა ტაძრის კურთხევის წესი, ბლაღოჩინმა მღვდელმა მ. ვლადიმერ აბრამიშვილმა შემთხვევის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა: მიულოცა საჩხერის საზოგადოებას ახალი ტაძრის კურთხევა და უძღვნა ქება—დიდება ეკლესიის აღშენების მოთავეს ბ. ფილიპე გრიგორის ძეს მგალობლიშვილს. (ხსენებულ პირს ბევრი კარგი საზოგადოებრივი და კულტურული მოღვაწეობა მიუძღვის, როგორც დ. საჩხერეში ისე სხვა ადგილებშიაც და კარგი იქნება „გინმე" მისი მოღვაწეობის მცოდნე მას ბიოგრაფიულ წიგნაკს შეადგენდეს და კიდეც გამოცემდეს. ს.-ს. დათ. დ—ძე). „განიცადენზედ" მშვენიერი ქადაგება წაიკითხა ბლაღოჩინმა—მღვდელმა მამა იოსებ წერეთელმა, (მოძღვრიშვილმა). ქადაგების პირველ ნახევარში მამა ორატორმა მკაფიოდ და-

ღლურათა ყ-დ წ. ქალწული მარიამის ტაძრად მიყვანების მნიშვნელობა, როგორც მისაბაძი მაგალითი ქრისტიანულ ცხოვრებაში,—მეორე ნახევარში კი განმარტა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სარწმუნოებას კაცობრიობისათვის და ან რა მდგომარეობაში აყენებს ადამიანს ურწმუნოება. ეკკლესიის კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო არა მარტო საჩხერიდან, ჭიათურიდან და საჩხერის მახლობ სოფლებიდანაც, რასაც ამინდიც ხელს უწყობდა

მეტად სასიამოვნო და სასიქადულოა ასეთი ტაძრის აშენება ჩვენში და ჩვენს დროში; დიდათ სასიამოვნოა ის გარემოებაც, რომ საჩხერის ახალი ტაძარი აშენებულია საქართველოს ეკკლესიის მანათლობელის მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს სახელობაზედ მით უმეტეს, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს დასავლეთ საქართველოში ამ წმიდანის სახელზედ იშვიათად შეხვდებით ეკკლესიას. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ 21 ნოემბერი დიდ სანახსოვრო და სამხიარულო დღესასწაულად ჩაითვლება, როგორც საზოგადოთ ყველა საჩხერლებისათვის, ისე კერძოდ საჩხერეში ნამყოფ მსაჯულის ბ. ფილიპე გრიგორის ძე მგალობლიშვილისათვის, რადგანაც იგი არის თავი და თავი მიზეზი, ინიციატორი და დამაგვირგვინებელი ამ ეკკლესიის აღშენებისა.—რომ ბ. ფილიპე არ მოვლინებოდა საჩხერეს, ეს ეკკლესიაც არ აშენდებოდა. გასაკვირველი და შესანიშნავი არის, სხვათა შორის, ერთი ფაქტი საჩხერის ეკკლესიის აღშენების ისტორიაში. 1905—1906 წლებში მოძრაობის დროს, როდესაც სოფლის ხალხს ზოგიერთი გარეწარი აგიტატორების ჩაგონებით ყურში მიჰქონდა ეკკლესიის წინააღმდეგ, როცა ეს ხალხი ზიზღს უმცხადებდა სამღვდელოებას, ხოლო აღშენებულ ტაძრებს დაქცევას და განადგურებას უქადოდა, სწორეთ იმ საშინელ დროს „მისიონერ" სამღვდელო პირივით ბ. ფილიპე მგალობლიშვილი საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში დაბრძანდებოდა თუ ცხენით, თუ ქვეითათ, თხოვდა და ემუდარებოდა ხალხს, რომ საჩხერის ეკკლესიის აღშენებაში დახმარებოდენ თუ ფულით, თუ მასალით, თუ მასალის მიტანით და სხვა. ვინ გაბედავდა იმ წლებში და იმ დროს რომელიმე „ჩინოვნიკის" პატივისცემას და დახმარებას რომელიმე კერძო ან საზოგადო საქმეში და ისიც ეკკლესიის აღშენებაში? მაგრამ მორწმუნე, და ჭალარით მოსილი მადლიანი მისწრაფებით გატაცებული თავოსანი ფილიპე რომ მივიდა ჭიათურის და ნავარძეთის მეურმე გლეხებთან და სთხოვა მათ, რომ ჭიათურის რკინის გზის სადგურამდის თავიანთი ხარ-ურმით მიეზიდათ ეკკლესიის თალის მასალათ მჩატე ქვა, ეგრეთ წოდებული „პოლტიკის ქვა", მოძრაობით აღელვებულმა გლეხებმა სად რომ დაინახეს თავისი ღარიბი ქოხის წინ საჩხერის მომრიგებელი მოსამართლე, არა თუ დაეზარათ მხნე მუშაკის თხოვნის შესრულება პირიქით ერთი ურმის მაგიერ ორ-ოლი მეურმენი გამოდიოდენ ზოგიერთ ოჯახებიდან და დიდის კმაყოფილებით მიეზიდებოდნენ ქვის მასალას დანიშნულ ადგილზედ: „ისეთმა პატივსაცემმა კაცმა იკადრა ჩვენთან მოსვლა და თხოვნა, რაც უნდა დაგვემართოს და ვინც რა უნდა გვითხრას, უარს ვერ შევკადრებთო", ამბობდნენ გლეხები.

აი სწორეთ ასეთი თავდადებული და დაუზარებელი შრომით და ენერგიით მიაღწია ბ. ფილიპე მგალობლიშვილმა თავისს წმიდა და უანგარო მიზანს და დღეს კი მისდა სასახელოთ ძვირფასი ტაძრით ამაყობს დაბა საჩხერის მართლ-მადიდებელი საზოგადოება. ვინ მოსთვლის, რამდენი უანგარო შრომა, ხარჯები და პირადი უსიამოვნება დაუთმენია ბ. ფილიპეს სალვთო საქმის შესრულებისათვის. ღმერთმა დაუმადლოს და დაუფასოს ბ. ფილიპეს ის კეთილი საქმე, რომლის მადლიერი ბევრი არავინ იქნება დღევანდელ ჩვენ სარწმუნოება—ზნეობა დაცემულ საზოგადოებაში.

მღვდ. ბესარიონ მაშაძე.

კიდევ ზოგიერთ მოწაფეებზედ.

მეტად სამწუხაროა, რომ დღევანდელ ხანაში მყოფ ახალგაზრდა მოწაფეებზედ რაიმე ცუდი აღბეჭდო ჩვენს გაზეთის ფურცლებზე დამიანმა, მაგრამ რას იზამთ, როდესაც თითქმის ყოვლად შეუძლებელია არ სთქვა სინამდვილე და არ ამცნო იმ დანარჩენ სამაგალითო მოწაფეებს, რომლებიც თავიანთ ნაბიჯს ყოველთვის აკვირდებიან.

მაგალითად: ერთ მშვენიერ დღეს, როცა მზე მაღლიდან დასცქეროდა დედამიწას და ხალხიც მხიარულად დასეირნობდნენ ქუჩებში, მოწაფე №-მა, მოეპარა ერთ მოწაფეს N-ს, (ალექსანდროვის ქუჩაზე, „სემეინი" ბაღთან,) და როგორც გამოჩენილ რაინდმა, შუა ქუჩაზედ, შიგ ტალახში წააქცია იგი, (ე. ი. N მოწაფე). ამ შემთხვევას უცქეროდა მთელი ქუჩაზე მიმავალი საზოგადოება და გულ-ამოფსკვნით იმეორებდნენ თავისთვის: „აი დღეს მოწაფეები რას სჩადიან"-ო!... უარესი მაგალითი გახლდათ ამ ორი დღის წინეთ ლევაშოვის ქუჩაზე, სადაც საზიზღარი და გულსაკლავი მკვლელობა მოხდა, დანით სიცოცხლეს გამოასალმეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვაჟი **გ. ლოსაბერიძე**, რაც მკითხველს უეჭველია ეცოდინება უკვე მომხდარი შემთხვევის ნამდვილი ჭეშმარიტება, მაგრამ ჩვენ მაინც სურვილი გვაქვს აღვძრათ კითხვა: „თუ რამდენათ ხაზ-გასასვამია დღევანდელ დუხჭირ ხანაში ასეთი მოქმედება მოწაფეთა მხრით". ჩვენის აზრით მოწაფეების ასეთ ცუდ მოქმედებას საზღვარი უნდა ქონდეს და ასეთი მათი არა კულტურული მოქმედების წინააღმდეგ უნდა იქმნეს აღმართული საკეთილდღეო პირები, რომელიც ოდნავ მაინც საშველს მისცემს მოწაფეების ასეთი დაღუპვის გზაზე მსვლელობას და ასეთ მათ „ზნეობით აღზრდას".

დიახ, უეჭველად საჭიროა, რომ ჩინებული კითხვა დაისვას მოწაფეების მოწინავე წრეში და უნდა იქნენ არჩეული პირები, რომლებიც ასეთ საქციელს არ შეხვდებიან სასიხარულოთ.

ახ.-ამწ. დათიკო ლოლობერიძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

—

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის ,,შინაური საქმეების'' საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო მე და ჩემი მრევლის მხრით რწმუნებულს ჩემდამო სამრევლო შიგა მცხოვრებს სპირიდონ მაქსიმეს ძე და მეუღლეს მისას თათია პეტრეს ასულს სხლიტამეს, რომელმაც რწმუნებულს ჩემდამო ბაჯითის სამების ეკკლესიას შემოსწირეს ერთი რწყული ბაირაღი, ღირებული ოცი მანეთისა. ვისურვებ მას წამბაძველები გამოჩენოდეს და არ დაეშურნოსთ თავიანთი წვლილი ჩვენი ახალი ეკკლესიის გამშვენებისათვის.

ღმერთო მაღალო! ,,წმიდა ჰყვენ მოყვარენი სახლისა შენისა მშვენიერებისანი!''.

სოფლის ბაჯითის სამების ეკკლესიის მღვდელი ბიკტორ ტყემალაძე.
15 ნოემბერი, 1910 წ.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მჭედლიძე**.
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

განცხადებანი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

„Торговое Дѣло"

Въ теченіи 1911 г. подписчики получатъ:

52 №№ газеты, объемомъ отъ 4 до 8 стр., съ точными цѣнами на всѣ товары (свыше 5000 названій), существующія по всѣхъ главнѣйшихъ городахъ, съ указаніемъ на ожидаемое пониженіе или повышеніе ихъ, съ курсами на фондовыя бумаги и другими извѣстіями.

24 №№ журнала въ обложкѣ, объемомъ отъ 32 до 64 ст. по программѣ: 1) Руководящ. статьи, касающіяся: а) Разработки естественныхъ богатствъ Россіи и устройства прибыльныхъ фабрично-заводскихъ предпріятій, б) Веденія и организаціи торговыхъ и промышленныхъ дѣлъ по новѣйшимъ методамъ торговли; в) Распространенія товаровъ; г) Привлеченія покупателей; и д) Всевозможн. видовъ рекламъ; 2) Проекты и смѣты на устройство магазиновъ, лавокъ, фабрикъ и заводовъ съ практическими указаніями для неопытныхъ людей; 3) Совѣты и указанія на всевозможные случаи изъ богатаго опыта западно-европейскихъ и американскихъ коммерсантовъ; 4) Отвѣты на запросы подписчиковъ; и 5) Всевозможныя торг.-пром. свѣдѣнія.

6 книгъ 1) Указатель главнѣйшихъ фабрикъ и заводовъ всей Россіи (около 20000 адресовъ), цѣна въ отдѣльности 2 р. 50 к.; 2) Указатель заграничныхъ покупателей русскихъ продуктовъ (около 6000 адресовъ), цѣна въ отдѣльности 1 р. 50 к.; 3) Руководство для таксировки грузовъ по ж. д. (2 р.); 4) Указатель готовыхъ провозныхъ платъ на всѣ товары (1 р. 75 к.); 5) Указатель готовыхъ разстояній отъ главнѣйшихъ городовъ по всѣхъ ст. ж. д. и обратно (1 р. 50 к.); 6) Искусство продавать (50 к.).

Подписная цѣна на годъ, на газету, журналъ и книги съ правомъ полученія всевозможн. справокъ и отдѣльнаго справочнаго календ.-пр. **6 р.** безъ книгъ **4 р.**

Въ конторѣ „Торговаго Дѣла" продаются: Адресная книга „Вся Европа" объемомъ ок. 500 стр.—3 р. 75 к., Руководство „Искусство Рекламировать"—50 к. Оба изданія вмѣстѣ съ газетой, журналомъ и книгами на 1911 г. высылаются за 8 р. Желающіе получить еще и журналъ за 1910 г. (стоющій въ отдѣльности 2 р. 50 к.), адресную книгу „Указатель Всей Россіи" объемомъ въ 500 стр. (2 р. 50 к.) и Указатель Таможенныхъ Пошлинъ (1 р. 25 к.) уплачиваютъ 12 р. Первыя 2 или всѣ 5 изданій высылаются налож. плат. со включ. подписки на 1911 г. на 8 руб. 20 коп. или 12 руб. 20 коп.

Ред.-Изд. *Секретарь Горн. Маклера Одесской Биржи Э. С. Гальперинъ.*

Обращаться въ к-ру жур. „Торговое Дѣло", Одесса, Соборная, 2-I

НА ГОДЪ—4 Р., СЪ ПРИЛОЖ.—6 Р.

5-й ГОДЪ ИЗДАНІЯ.

5-й ГОДЪ ИЗДАНІЯ.

3 - 1

ყოველ-კვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე"

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (სიბურთალო — გაზეთების ქესხანაში № 17). და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში, სიმონიანცის შუშის ბაღაზიაში.

გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა კვირეულებისთვისა და მარიამობისთვისა, როცა გაზეთი სულ არ გამოვა. ბბ. ხელის მომწერლებს ვთხოვთ გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: **3** მანეთი. **ნახ. წლით:** **2** მანეთი. გაზეთი დებულების დასაბეჭდათ **ყოველგვარ განცხადებებს.**

„შინაური საქმეები“ს რედაქციაში იყიდება შემდეგი **წიგნაკები:**

1. ქრისტიანობა ბებელის დამბრალებარ.—10 კ., 2. ქრისტე დმერთია?—10 კ., 3. სიკვდილი ადამიანისა—5 კ. 4. წყალობა უფლისა—2 კ., 5. შატარა ქრისტიანი—2 კ. 6. ათეიზმი და მისი გავლენა ცხოვრებასა და მეცნიერებაზე—10 კ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ
(4-й годъ изданія)

на иллюстрированный научно-популярный журналъ

„АСТРОНОМИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

Рекомендованъ, признанъ заслуживающимъ вниманія и допущенъ въ библіотеки среднихъ учебныхъ заведеній министерствъ: Военнаго, Морскаго, Народнаго Просвѣщенія, Торговли и Промышленности и Главн. Управл. Землеустр. и Землед. (для низшихъ)

Въ журналѣ помѣщаются статьи по всѣмъ отдѣламъ астрономіи, написанныя вполнѣ доступно. Особенное вниманіе удѣляется новинкамъ, какъ астрономіи, такъ и связанныхъ съ нею наукъ: физики, химіи, метеорологіи и физики земнаго шара. Предназначенный для широкаго круга лицъ, онъ будетъ заключать все, что можетъ быть полезно и интересно для всякаго, а въ особенности **любителямъ астрономіи**.

Къ напечатанію приготовленъ рядъ статей: 1. Комета Галлея (ея прошлое, настоящее и будущее), 2. Телескопъ любителя астрономіи, 3) Разстоянія звѣздъ, 4) Новый способъ наблюденія солнечныхъ пятенъ, 5) Горныя обсерваторіи, 6) Значеніе астрономіи для человѣчества, 7) Роль **Любителей астрономіи** въ наукѣ, 8) Какъ самому устроить обсерваторію, 9) Какъ самому сдѣлать солнечные часы. 10) Астрономія въ древнемъ Китаѣ, и пр. Въ каждомъ номерѣ приводятся отчеты о трудахъ любителей астрономіи и указываются планы работъ для нихъ. Кромѣ того сообщаются на три мѣсяца впередъ свѣдѣнія о предстоящихъ небесныхъ явленіяхъ. Журналъ выходитъ 6 разъ въ годъ номерами въ 2 печатныхъ листа каждый, съ рисунками и чертежами.

Цѣна съ пересылкой и доставкой **3 рубля** въ годъ; допускается разсрочка по 1 рублю. Оставшіеся экземпляры журнала за 1910 г. высылаются по цѣнѣ три рубля каждый.

Плату слѣдуетъ высылать по адресу редакціи: **гор. Измаилъ (Бессараб. губ)., Красивая Улица, д. № 11/2**: Редакторъ издатель **Н. Пелипенко.**

3—3

ვამზადებ სამღვდელო და სადიაკვნო საგნებში, აგრეთვე **სამასწავლებლო** ეგზამენის მისაღებად.

ადრესი: ქუთაისი, კაზაკოვის ქუჩა, № 17.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1911 Г.

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧ. ГАЗЕТУ

ШКОЛА И ЖИЗНЬ

СЪ ЕЖЕМѢСЯЧНЫМИ ПРИЛОЖЕНІЯМИ.

Въ книжкахъ приложеній, которыя за годъ составятъ около 80 печатныхъ листовъ, будутъ помѣщаться цѣльныя произведенія русскихъ и иностранныхъ авторовъ, старыя классическія, или выдающіяся новѣйшія или касающіяся наиболѣе интересныхъ вопросовъ текущаго времени. Три книжки приложенія будутъ посвящены **памяти Л. Н. Толстого, Н. И Пирогова и работамъ извѣстнаго педагога Кершенштейнера**. Въ числѣ приложеній—три сборника, спеціально посвященные нашей **низшей, средней и высшей школѣ**.

Газета издается по слѣдующей программѣ: 1) Руководящія статьи по вопросямъ: а) организаціи школы и школьнаго законодательства, б) общепедагогической теоріи и практики. 2) Статьи по различнымъ вопросамъ образованія и внспитанія. 3) Фельетонъ характеризующій по преимуществу внутреннюю жизнь щколы или популяризующій различныя стороны знанія. 4) Обзоръ печати. 5) Хроника образованія: дѣятельность законодательныхъ учрежденій, правительства, мѣстнаго самоуправленія и т. д. 6) Хроника школьной жизни въ Россіи и Заграницей, 7) Обозрѣніе спеціальной литаратуры русской и иностранной. 8) Справочный отдѣлъ съ подотдѣломъ отвѣтовъ редакціи на запросы подписчиковъ.

Въ газетѣ принимаютъ участіе, въ числѣ прочихъ, слѣдующія лица:

Проф. М. М. Алексѣенко, акад. В. М. Бахтеревъ, проф. И. И. Боргманъ. И. П. Бѣлоконскій, проф. В. А. Вагнеръ, В. П. Вахтеровъ, акад. В. И. Вернадскій, В. А. Гердъ, проф. Н. А. Гредескулъ, проф. Д. Д. Гриммъ, Я. Я. Гуревичъ, проф. В. Я. Данилевскій, Я. И. Душечяинъ, Е. А. Звягинцевъ, пр.ф. П. Ф. Каптеравъ. проф. М. П. Капустинъ, проф. Н. И. Карѣевъ, проф. М. М. Ковалевскій, акад. А. Ф. Кони. проф. Н. Н. Ланге. А. Л. Липовскій, проф. И. В. Лучицкій, проф. А. А. Мануйловъ, П. Н. Милюковъ, Н. Ф. Михайловъ, проф. А. П. Нечаевъ, акад. Д. Н. Овсянико-Куликовскій, Ф. Ф. Ольденбургъ, А. Н. Острогорскій, А. Б. Петрищевъ, И. И. Петрункевичъ, А. С. Пругавинъ, Н. А. Рубакинъ, М. А. Стаховичъ, І. В. Титовъ, Е. И. Тихомировъ. графъ И. И. Толстой, Н. В. Тулуповъ, проф. Г. В Хлопинъ, В. И. В. И. Чарнодускій, проф. Г. И. Челпанвъ, Н. В. Чеховъ, П. М. Шестаковъ, А. И. Шингаревъ, акад. И. И. Янжулъ и многіе другіе.

Изъ иностржнныхъ ученыхъ, между прочимъ, обѣщали свое участіе въ газетѣ слѣдующія лица: проф. Ренэ Вормсъ, Шарль Жидъ, извѣстный французскій педагогъ Бюссонъ, де-Гревъ и др., Редакція газеты имѣетъ корреспондентовъ, въ разныхъ городахъ Имперіи и спеціальныхъ корреспондентовъ въ Г. Совѣтѣ и Г. Думѣ.

Подъ общей редакціей **Г. А. ФАЛЬБОРКА.**

Подписная цѣна:

	на годъ	на 6 м.	на 3 м.
Съ доставкой и пересылкдй въ города Имперіи.	**6 р.**	**3 р.**	**2 р.**

Для учащихъ въ начальныхъ училищахъ допускается разсрочка по 1 р. за каждые 2 мѣсяца. Лица подписавшіяся до 1-го Января 1911 г., получатъ газету въ 1910 г. безплатно.

Газета выходитъ съ ноября мѣсяца. Пробныя №№ высылаются безплатно.

Подписка принимается: въ Главной Конторѣ, **Петербургъ, Кабинетская, № 18,** тел. 547—34 во всѣхъ почтово-телеграфныхъ конторахъ Россіи и въ книжныхъ магазинахъ.

Объявленія принимаются въ Главной конторѣ газеты. Цѣна объявленій за строку монпарели на первой страницѣ 60 коп., позади текста 30 коп. **Издатели: Н. В. Мѣшковъ и Г. Б. Фальборкъ.** 3—1

Типографія Хеладзе въ Кутаисѣ.